

თიბისი ბანკმა ბანკი კონსტანტას აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა
თიბისი ბანკი კონსტანტას აქციათა 80%-ის მფლობელი გახდება.

პრესრელიზი

თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი, **ვახტანგ ბუცხრიკიძე**: „ბანკი კონსტანტა ერთ-ერთი საუკეთესო ბანკია მიკროსაფინანსო ბაზარზე, რამაც განაპირობა ჩვენი დაინტერესება ამ საფინანსო ინსტიტუტით. მას საკმაოდ გამართული და კარგი მენეჯმენტი გააჩნია, რომელსაც ჩვენ სრულ ნდობას ვუცხადებთ. შესაბამისად, უახლოეს მომავალში არ ვგეგმავთ კონსტანტას მენეჯმენტთან და არსებულ სტრატეგიასთან მიმართებაში რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას. კონსტანტა კვლავ გააგრძელებს საქმიანობას, როგორც დამოუკიდებელი საბანკო ინსტიტუტი, ხოლო თიბისი ბანკი, თავისი რესურსებითა და გამოცდილებით, მხარდაჭერას გაუწევს მას, რათა კონსტანტამ კიდევ უფრო სწრაფად განავითაროს თავისი საქმიანობა.“

კერძოდ, თიბისი ბანკი გეგმავს, თავისი წარმატებული გამოცდილება ეფექტურად ასახოს კონსტანტას საქმიანობაში, რათა იგი კიდევ უფრო გააქტიურდეს არა მარტო საკრედიტო, არამედ დეპოზიტების ბაზარზეც, რომელზეც კონსტანტა შედარებით ახალი მოთამაშეა - დანერგოს ახალი პროდუქტები და წარმატებით განახორციელოს ყველა ის ამოცანა, რომელიც მისი სრულყოფილ საბანკო ინსტიტუტად ჩამოყალიბების სტრატეგიული გეგმის ნაწილია.

„ნებისმიერი ბანკისთვის სტრატეგიული პარტნიორის ძიება მუდმივი პროცესია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა შემოთავაზებები ადგილობრივი და უცხოური ფინანსური ინსტიტუტებიდან, ჩვენ არჩევანი ქართულ ფინანსურ ინსტიტუტზე გავაკეთეთ, - აცხადებს ბანკი კონსტანტას გენერალური დირექტორი, **ლევან ლებანიძე**, - „თიბისი ბანკის სახით ბანკმა კონსტანტამ ძალიან მყარი და ძლიერი პარტნიორი შეიძინა, რომელიც გაამყარებს ჩვენს პოზიციებს ქართულ მიკროსაფინანსო ბაზარზე და ხელს შეუწყობს ბანკის სწრაფ ზრდას. ბანკი კონსტანტა გააგრძელებს საქმიანობას მიკროსაფინანსო სექტორში უფრო გაზრდილი და ამბიციური გეგმებით.“

ქართულ საბანკო სივრცეში ეს იქნება ორი საბანკო ინსტიტუტის ამ ტიპის თანამშრომლობის პირველი პრეცედენტი, როდესაც ხდება არა ერთი ბანკის მიერ მეორის შერწყმა საკუთარ ინფრასტრუქტურაში, არამედ ორივე მათგანი დამოუკიდებელ სუბიექტებად აგრძელებენ ბაზარზე ფუნქციონირებას.

ბანკი კონსტანტა 2010 წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და სწრაფად მზარდი ფინანსური ინსტიტუტი იყო და დღესაც განაგრძობს წინსვლას. გარიგების ფარგლებში, ბანკი კონსტანტას პირველი უცხოელი აქციონერის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია OikoCredit-ის წილი შენარჩუნდა და კვლავ 13%-ს შეადგენს, ხოლო დარჩენილი 7%-ის მფლობელებად კვლავ რჩებიან ქართველი ფიზიკური პირები.



თიბისი ბანკი
T B C B A N K



ბანკი კონსტანტა
BANK CONSTANTA

დამატებითი ინფორმაცია

„ბანკი კონსტანტა“ - პირველი მიკროსაფინანსო ორგანიზაციაა, რომელიც საბანკო ინსტიტუტად ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც 2008 წლის ივლისში, საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიიღო საბანკო საქმიანობის ლიცენზია. იგი 1997 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს ქართულ ფინანსურ ბაზარზე და საქართველოს მასშტაბით არსებულ 21 ფილიალის საშუალებით სხვადასხვა ფინანსურ მომსახურებას უწევს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს. დღეისათვის ბანკი კონსტანტა 20 ათასზე მეტ კლიენტს ემსახურება საქართველოს მასშტაბით და მისი საკრედიტო პორტფელი 73 მილიონ ლარს ჭარბებს.

სს „თიბისი ბანკი“ - დაფუძნდა 1992 წელს. და გამოირჩევა განვითარების წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის აქციონერები არიან: EBRD, IFC, FMO, DEG და სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები და ქართველი ფიზიკური პირები.

თიბისი არის პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა. 2007 წელს თიბისი ბანკმა დაწერა საქართველოში სრულიად ინოვაციური, ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალები, რომლის კონცეფციაა “მომსახურება ბარიერების გარეშე”; თიბისი ასევე წარმოდგენილია ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე და ფლობს წამყვან პოზიციებს აღნიშნულ საფინანსო სფეროებში.

თიბისი ბანკი მიმდინარე საერთაშორისო რეიტინგებია: FitchRatings: B + and B
Moody's: B 1 and Ba 3.

საკონტაქტო ინფორმაცია:

<p>თიბისი ბანკი მაია ძირკველიშვილი</p> <p>ტელ: 27 27 27 (2810), ფაქსი: 772 774 e-mail: pr@tbcbank.com.ge</p>	<p>ბანკი კონსტანტა ნანა ჩხიკვაძე</p> <p>ტელ: 401 401 მობ: 8 99 277 200 e-mail: nana.chkhikvadze@constanta.ge</p>
---	---